ხელშეკრულება № 51

თბილისი 8 ივლისი 2014 წ.

ერთის მხრივ, აფხაზეთის ა.რ. იუსტიციის დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“,) წარმოდგენილი **თავმჯდომარის მოადგილის ვასილ ზაქარაიას** სახით, და მეორეს მხრივ, **შპს "თეგეტა- მოტორსი"** (ს/კ: 202177205, მის:ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №5), **წარმოდგენილი** **გენერალური დირექტორის** თემურ კოხოძის მინდობილი პირი - ფილიალის **დირექტორის** ნუგზარ ლომსიანიძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

§1 ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების **საგანია** **აფხაზეთის ავტონომიური** **რესპუბლიკის** **იუსტიციის** **დეპარტამენტის** **ბალანსზე** **რიცხული** **ავტომანქანა** **IIW – 454** **„მერსედეს ბენც“** **C - 240** -ისთვის **“** **ნაწილები** **და** **აქსესუარები** **სატრანსპორტო** **საშუალებებისა** **და** **მათი** **ძრავებისთვის“** - **“სატრანსპორტო** **საშუალებებისა** **და** **მათთან** **დაკავშირებული** **მოწყობილობების** **შეკეთება,** **ტექნიკური** **მომსახურება** **„CPV 50100000** **– კერძოდ -50112000–** **„მანქანების** **შეკეთება** **და** **ტექნიკური** **მომსახურება“- 30** (ოცდაათი) ლარის., **09200000-„ნავთობი,** **ქვანახშირი** **და** **ნავთობპროდუქტები“- 195** (ასოთხმოცდათხუთმეტი)ლარის **და** **„სხვადასხვა** **ზოგადი** **და** **სპეციალური** **დანიშნულების** **მანქანა** **დანადგარები“-42900000** **-15(თხუთმეტი)** **ლარის** (გამარტივებული შესყიდვა, კანონი“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“).

§2 ხელშეკრულების ღირებულება

2.1. საქონლისა **და** **მომსახურების** **ერთეულის** **ღირებულება** **განისაზღვრება** **დანართი** **№1-ის** **შესაბამისად,** **რომელიც** **წარმოადგენს** **ხელშეკრულების** **განუყოფელ** **ნაწილს.**

2.2. საქონლისა **და** **მომსახურების** საერთო ღირებულება შეადგენს - **240(ორასორმოცი)** ლარს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელების გათვალისწინებით.

§3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება გამხორციელდება **უნაღდო** ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან **15 სამუშაო** დღის განმავლობაში.

§4 მიღება - ჩაბარების წესი

4.1.**შემსყიდველის** **მხრიდან** **მიღება-ჩაბარების** **აქტზე** **ხელისმომწერ** **უფლებამოსილ** **პირს** **წარმოადგენს** **ხუღალტრული** **აღრიცხვისა** **და** **მატერიალურ** **ტექნიკური** **უზრუნველყოფის** **სამმართველოს** **უფროსი** **ანა** **თოლორაია.**

4.2. **საქონელი** **და** **მომსახურება** მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

§5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. **საქონლისა** **და** **მომსახურების** მიწოდების ადგილია :ქ. **თბილისი,** **უნივერსიტეტის** **ქუჩა** **6**

5.2. **საქონლისა** **და** **მომსახურების** მიწოდება განხორციელდება **2014** **წლის** **30** ივლისამდე .

§6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია **უზრუნველყოს** მიწოდებული **საქონლისა** **და** **მომსახურების** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს **საქონლისა** **და** **მომსახურების** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს **საქონლისა** **და** **მომსახურების** მიწოდება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით, ასევე **გაუწიოს** **გარანტია** **საქონლისა** **და** **მომსახურების** ხარისხზე და ვარგისიანობაზე.

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი ----------

§7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ვალდებულების შესრულებისაგან.

§8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

§9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემ,თხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

§10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

§11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2014 წლის 1 სექტემბრის** ჩათვლით.

12 მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი :**
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი **მისამართი:** ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17 ა **საიდენტიფიკაციო კოდი:** 249256923 **საბანკო რეკვიზიტები:** აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (ხაზინა) **ბანკის კოდი:** TBCBGE22. ა/ა: GE40TB1997234080100001	**შპს : „თეგეტა მოტორსი „** **საიდ.კოდი:202177205** **მისამართი:** ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #5 **ბანკის კოდი :** TBCBGE22 . ა/ა :GE80TB0600000024467853

შემსყიდველი---------- მიმწოდებელი ----------

2014 წლის " 8 " ივლისის № 51 ხელშეკრულების დანართი №1

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდ ენობა	ერთეულის ფასი	სავარაუდო ღირებულება	CPV კოდი
CPV 42900000 - სხვადასხვა ზოგადი და სპეციალური დანიშნულების მანქანა დანადგარები					
1	ზეთის ფილტრი	1	15	15	42913300
CPV 50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება					
2	ზამბარის გამოცვლა	1	30	30	50112000
09200000- ნავთობი, ქვანახშირი და ნავთობპროდუქტები					
3	ა/მანქანის ზეთი	15	13	195	09210000

სულ : **240 ლარი**

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი: ----------